

გაზეთი ღირს:			
მთლიანად	წელიწადად	თვეობრივად	დღიურად
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შუბური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერიის

რედაქცია  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.  
ტელიფონი  
გაზეთის დასაბარებლად  
და განცხადებათა განსახილველად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. განყოფილებას.  
საზოგადოების კანცელარია.  
**ფასი განცხადებისა:**  
ჩვეულებრივი სტატიები პირველ გვერდზედ 10 კაპ.,  
მეორეზედ—5 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ქართული თეატრი

კვირის, 10 მარტი, 1902 წ.

**გ. ალ. აგაშიძის**  
ქართულ სცენაზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად

გაიმართება

## სადღესასწაულო წარმოდგენა

ღილით:

დასწავისი ნაშუადღევს 1 საათზედ.

საღამოთი:

დასწავისი 8 საათზედ.

ადგილების ფასი საბუნიკისა.

ღრამ. საზ. გამგეობის ადმინისტრაცია

წილობრივად უნდა წარედგინოს გამგეობას სამის დღით ადრე კრებად, ე. ი. არა უგვიანეს ამა წლის 20 მარტისა.

(3-5.-1)

### აიმიერ-კავკასიის სახელმწიფო რაიონის

გაზეთი უფროსი ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ იგი სრულიად არ მიიღებს თხოვნას იმ პირთაგან, რომელთაც მსურთ ამ რაიონის გზებზედ სამსახურში შესვლა. ამანობის თხოვნა უნდა მიეცეს სამსახურისა და განყოფილების უფროსთა სამმართველოს, რადგანაც მოსამსახურენი მიღებულნი იქმნებიან ამ უფროსთაგან წარდგენით რაიონის გზათა უფროსთან. ეს თხოვნები, რომელთაც ფოსტით მიიღებს რაიონის გზათა უფროსი, იმავე რიგით გარდაეცემა სამსახურისა და განყოფილების უფროსებს.

(1-5.-1)

### ჩვენის კულტურის ჩამორჩენა და აღმშენებლობის მიზნის ახალგაზრდა

ვინ არ იცის, რამდენად ჩამორჩენილია ჩვენი კულტურა ევროპისაზე. ყველაფერში ევროპისაგან ვართ დამოკიდებულინი, ევროპას შევჩერებუართ ხელობით. თუ იცოდა რამე ევროპამ ჩვენგან—რასკვირვებოდა, ჩაღის ფასად—და მკირეოდენი ნამცეცი თავის სიმდიდრისა გადმოგვიგდო, პატარა სულს ამოვიტყვამთ ძლივ-ძლივობით, თუ არა—და—რა დასაფიცავია—შემშილით ვისოცებოდა.

ერთადერთი მადანი, რომელსაც საქვეყნო მნიშვნელობა აქვს, ურომლი-სოდაც ქვეყნის წარმოება აწ შეუძლებელია და რომლის საუკეთესო პლასტები მხოლოდ ჩვენშია, — მანგანუმი, — ესეც-კი ვერ მოგვიმართია რიგინად ჩვენსა სასარგებლოდ და, მის მაგიერად, რომ ევროპა უფროსივით, ჩვენ ვებეჭებოთ, არიქა იყიდეთო. ან-კი როდესაც ევროპა ბლომად ყიდულობდა მანგანუმს, ბედნიერი იყო ჩვენი ხალხი? მეტყვება!

მანგანუმსა გადააქცია ჩვენი გლენკაცობა მზიდველ მანქანად. მხოლოდ ქიათურის მიღამოს მცხოვრებმა უწყის, რას დაემსგავსენ იქაური მუშები. მანგანუმის საშინელი მტვერი, რომელიც ფილტვებს სჭამს, მალარობის საშინელი ყარტლი, აუტანელი ჯაფა, ღამის ტუხა, — ყველა ამან გასტყუა ხალხი და წართუა ჯანი. გამაღიძრა-კი ფულით? პირ-იქით. მანგანუმსა მიატოვებინა ხალხს მევენახეობა, რომელიც ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე მანგანუმის ზიდვა, აყიდოდა მრავალი ცხენი, დაავალიანა; ხალხი დარწმუნებული იყო, რომ არასოდეს კრიზისი არ დადგებოდა. გაცრუდა იმედი და ეს რამდენიმე წელიწადი კრიზისისა ისე დააწვა ამ დავალიანებულ ხალხს კისრად, რომ მთლად დედა-მამასთან გაასწორა.

ამ რა მოიგო ხალხმა? ჯანმრთელობა და მკურნალობა აცხადებს თავის წვერთა საყურადღებოდ, რომ კვირის, ამა წლის 24 მარტისათვის, დანიშნულია წვერთა წლიური საზოგადოებრივი კრება მოხდება დღის 10 საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1901 წლის ანგარიშისა.
2. დამტკიცება ხარჯთაღრიცხვისა 1902 წლისათვის.
3. არჩევნები გამგეობის თავმჯდომარისა და ერთის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.
4. არჩევნები საბჭოს ხუთის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.
5. არჩევნები სარევიზო კომისიის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

საზოგადოების წესდების მე-36 წ-ის ძალით რწმუნებანი საზოგადო კრებაში მონა-

მორწმუნებამ არ უნდა მოგაკუთნონ პირი, რადგან, კარგად ვიცით, არასოდეს არავისათვის არ ყოფილა სასარგებლო თავის მოტყუება.

სარწმუნო არხები არა გვაქვს, მიწა გამოფიტულია და პატვიით არ ვაპოხივებთ; ბევრგან ვენახები განადგურებულია ფილოქსერისაგან, ბაღოსნობა ჩვენს კურთხეულ სამხრეთის ჰავრში არ ჰყვავის, წარმოების წესი ნოეს დროინდელია, სკოლები და ამხანაგობანი არა გვაქვს.

რას წარმოადგენს ჩვენი მეურნე? თუ აზნაურია ან თავადი, თითქმის სრულიად არავითარი წილი არ უძვეს წარმოებაში, რადგან მან ჯერ-ჯერობით არც მეურნეობისა იცის რამე და არც ვაჭრობისა. ერთი და ორი მაგალითი ვერ დაარღვევს და ვერ შესცვლის საზოგადო მოვლენას. თუ მეურნე გლენხია, იგი მოწყვეტილია კაცობრიობას, მან არა იცის-რა, ძველის-ძველ საწარმოო წესს გარდა, და თავის მესერს იქით ვერას ჰხედავს. ჩვენის გლენხობის უმეტესობამ არც-კი იცის, საქართველოს გარდა, არის კიდევ თუ არა სხვა ქვეყანა!

ამ გვარის ცოდნით შეიარაღებულთ, ისიც საკვირველია, რომ დღემდის კიდევ არ ამოგვაკვეთიეს ფეხი ჩვენ ბუნებით მიღარი მიწა-მამულებიდან. ამ გვარ იარაღით ბოძოლა, კონკურენცია, განათლებული ერთა მორის ფეხის გამოყოფა, რომელთა კავშირის ფერხულში ძალა-უნებურად ჩაგვაბეს, შეუძლებელია. განათლების იარაღს უნდა დაეფუძრებინათ განათლებავე. საქორა გამოვანილოთ თვალები და შევიგნოთ ეს ქვეყნობა. საქორა ყანწის მაგიერ წიგნსა და მამინას მოეკიდოთ ხელი. საქორა მიატოვოთ მამამანისებური საწარმოო წესი და შევიტვისოთ ევროპული. საქორა შევიგნოთ, ვინც წინ არ მიდის, ადგილი არ ექნება ამ ქვეყნად, რომ მის ადგილს სხვა, უფრო მხნე, დაიკავებს; მამ, საქორა ქართველური დაუღვრობა უკუ-ვაგდოთ და საქმეს შევუდგეთ.

უმთავრესი დარგი წარმოებისა ჩვენში, თუ განგებ თვალებს არ ავიხვევთ, მიწათ-მოქმედებაა. ვენახი, თუთა, სიმინდი, პური—ამათს დამუშავებდასაღვეს ხალხი უმთავრესად თავის ძალ-ღონეს. და ჩვენც ვალდებული ვართ მეურნეობას მივაქციოთ მეტი ყურადღება.

ის მოძღვრება, რომელიც ჰქადაგებს მეურნეობის მიტოვებას ჩვენში, ფუქი და შეუფერებელია ჩვენის ცხოვრებისათვის. რომ მართლა გავსულელოდეთ და ერთ დღეს ყველანი ავიყარნეთ და ქალაქებში გადავსახლდეთ, თქვენს მტერს, ჩვენ საქმე დაგვემართოს. მიწა ნიადაგია, რომელიც გვასაზრდოებს, გვაძლევს ჯან-მრთელობას, გვაყვარებს სამშობლოს. მიწა ძალაა ჩვენი, სიმამრეა, რომელზედაც ფეხ-მომარებელი უფრო ადვილად შეგვიძლიან დავიკაოთ ჩვენი თავი არსებობისათვის ბრძოლაში. მიწა რომ გამოგვეცალოს ფეხ-ქვეშ, დავკარგავთ დასამყარებელ ნიადაგს, სომხებზედ და ურიებზედ უფრო საწყლები, უფრო დევნილი შევიქმნებით, რადგან მათებური ვაჭრობის ნიჭი არა გვაქვს. მიწის შერჩენაზე და არ შერჩენაზე ჰკილია ჩვენის ერის არსებობა და გათავსირება.

უმთავრესი დონისძიება მეურნეობის ამაღლებასა სამეურნეო მეცნიერებაა. მეცნიერება ანაყოფიერებს ბუნების სიმდიდრეს, რომელიც თავის-თავად უსარგებლოა. ცოდნა—აი, რითი გვაკრბიან ევროპელები, აი, რითი ახერხებენ და ხმარობენ ჩვენს სიმდიდრეს. უცოდინარობა,—აი, მიზეზი, რომლის წყალობითაც ვერ მოვიგნებთ ჩვენ თვითონვე ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე, აი, მიზეზი ჩვენის სიღარიბისა.

უჭირავს-კი სამეურნეო მეცნიერებას ჩვენს თვალში შესაფერი ადგილი? სრულიად არა. სამეურნეო ცოდნის მიხედვით ძლიერ მკირე ნაწილი მიი-

წარაფის საზღვარ-გარედ. და სამეურნეო ცოდნით აღტურვილი კიდევ უფრო ცოტა ბრუნდება იქიდან.

ხალხი-კი სრულიად მოკლებულია სამეურნეო სწავლას. სახალხო სამეურნეო სასწავლებლები თითქმის არსად გვაქვს. ამიტომაც ჩვენმა მეურნემ სრულიად არა იცის-რა სამიწათ-მოქმედო წარმოების ახალის წესისა. გუთანი და თიხი-ცი არ უნახავს ევროპული. ჯერ კიდევ ვერ შეუგნია მნიშვნელობა პატვიისა; არ იცის ფასი საამხანაგო და წესებულებისა. ჯერ თავის ბარბაროსულ „მე“-ს ვერ გასცილებია და „საზოგადოს“ მნიშვნელობის შეგნებამდის ვერ ამაღლებულია.

საქორა შევიგნოთ, რომ ბედი და ისტორია გვეუბნება, ან სიკვდილი, ან მეურნეობის წარმატება, წინსვლა და გამოფხიზლება, ამ ორში ერთი ირჩიეთო. მამ, რად ვხედვართ აქამდის გულზედ ხელზე-დაკრფილინი? გარშემო ცხოვრების მძლავრად მღელვარე ტლღები შემოგროვებულა და შთანთქმს გვეფუქრება, ჩვენ-კი ჯერ ღრმა ძილს შევუპყრივართ და ვერ გავგვიგია რა ამბავია გარშემო.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო სამეურნეო სკოლებს, ამბაზე ლაპარაკი შეუთა. საქმე მხოლოდ ის არის, შეუძლიან თუ არა ხალხს დაიარსოს ამ გვარი სკოლები. ცხადია, თუ გიმეტა ფული, არ გაუჭირდება, მაგრამ, საუბედუროდ, ხალხი ყოველგვარ გადასახადს უფროსის, რაც უნდა სასარგებლო საქმეს მოხმარდეს ეს გადასახადი.

შემძლება საქმეს მოველოს ერთის მხრივ. შეიძლება თვითონვე დაბაში, სადაც ოთხ-კლასიანი სასწავლებლებია დაარსებულ იქმნას სამეურნეო განყოფილება. ხარჯი უნდა იტვიროთ, რასაკვირველია, საზოგადოებამ, რომელმაც არაფერი არ უნდა დაიშუროს ამ დიდ, სამვილის-სეკილა საქმისათვის. თუ სიძუწე მანებელია საზოგადო, ამ გვარ საქმეში იგი დამღუბველია.

შავად-ახსაურობა, რომელსაც, ისტორიულ მიზეზებს გამო, უფრო შეგნებული აქვს საერთო საქმის მნიშვნელობა და გაცუნება აქვს დღემდის ხალხში, ვალდებულია მთელი თავისი გავლენა მოიხმაროს და ითავოს ეს საქმე. გლენი, თავადი და აზნაური ყველანი უნდა შეერთდნენ ამ დიდ-მნიშვნელოვან საქმისათვის, რადგან ყველასათვის ერთგვარად აუცილებელია მეურნეობის წარმატება.

ვასილ წერეთელი.

## ახალი ამბავი

გუშინ, 6 მარტი, საღამოს 5 საათზედ, სხირტლამის რესტორანში ვოიცხოვსკიმ მიმედ დასქრა ახალგაზრდა, 22-23 წლის შტოლისებური, შტოლისებური თურქსენებულს რესტორანში სკამად პურს ცოტათი ნასვამი. ამ დროს შემოვიდა ვოიცხოვსკი და ლული მოითხოვა. შტოლისებურს უცნია ვოიცხოვსკი, მისულა მასთან და არაფერ შეუთავაზებია. ვოიცხოვსკის უარი უთქვამს, მე ლულს ესვამო და ლული მოკითხვი. შტოლისებურს ახლა ხუმრობა დაუწყვიდა ვოიცხოვსკისთვის: იქნება არ გახსოვს, მე და შენ რომ ერთად ვსწავლობდით და სიკლით გავლანსდავს. ვოიცხოვსკის უთხოვნია, ნუ მომანძღეო. — „გავლანსდავს-კი არა, ვინდა სილიც გავარტყაო!“ უპასუხნია შტოლისებურს და სილა გაარტყამს. „და, თუ გინდა, კიდევ გავარტყამო!“ მამინ ვოიცხოვსკის უმერია ხანჯალი და მარჯვენა შხრი მუცელში უტაკებია წვერით. ავად-მყოფი სამკურნალოში გავზავნეს. დამტკილი შეიპყრეს.

„უმთავრესი მოამბეში“ ვითხულობთ: „თვებრვის 10-ს ქართველ თავად-აზნაურთა ქეთისის დეპუტაციო მიიწვიეს საზამთრო სასახლეში ხელმწიფის საუბრებზედ. წირვის შემდეგ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ, ხელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ აღექსანდრა თეოდორეს ასულმა უთვსტოვების შეილებით და მისმა იმპერატორებთმა უმაღლესობამ ხელმწიფე-მეცნიერ-



